საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ყოველთვიური ონლაინ გამოცემა

ინფოვედი

იანვარი/2026

2

ქართული ღვინო სერიალის „DROPS OF GOD“ მეორე სეზონში

იცოდე, რატომ არის საქართველოს ტყე უნიკალური

4

მინი კივი

6

8

ბიომრავალფეროვნება

3

2025 წელს, „ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინო მსოფლიოს 21 ქვეყანაში წარმოდგენილი იყო 58 გამოფენა-ფესტივალზე და 322 დეგუსტაციაზე



5

ზამთრის სეზონი ეროვნულ პარკებში

ნუ მეიფარებთ გარეულ ცხოველებს!!!

რა შემთხვევაში ითვლება ცხოველის ყოლა დატყვევებად და რა სანქციები მოქმედებს ცხოველის დატყვევებასა და უკანონო ვაჭრობაზე

9

Apple TV-ის სერიალის

DROPS OF GOD

მეორე სეზონი მიღიონობით მაყურებელს საქართველოს ღვინის კულტურას და გასტრონომიას გააცნობს.

21 იანვარს, Apple TV-ზე EMMY-ის მფლობელი, მრავალენოვანი სერიალის „DROPS OF GOD“ მეორე სეზონის პრემიერა შედგა, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდი მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მაყურებელს ღვინის კულტურისა და გასტრონომიის სამყაროში, მათ შორის, საქართველოში ამოგზაურებს.

სერიალის ნახვა შეგიძლიათ ბმულზე

https://tv.apple.com/us/show/drops-of-god/umc.cmc.497ttx33nudgzywis3i2bnvuk

მხატვრული სერიალი, რომელიც ღვინოზეა, გვერდს ვერ აუვლიდა საქართველოს. ეს არის იმ წარმატების შედეგი, რომელსაც ქართულმა ღვინომ მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე. სერიალი მაყურებელს გაუჩენს ქართული ღვინის გასინჯვის სურვილს. ქართული ღვინის კიდევ ერთი აღიარება ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის კიდევ ერთი შედეგია.

სერიალის „DROPS OF GOD“ მეორე სეზონის ნაწილი გადაღებულია საქართველოში, კინოკომპანიების „სტუდია 99“ და „ასი ფილმი“ მონაწილეობით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტის „გადაიღე საქართველოში“ მხარდაჭერით.

„DROPS OF GOD“ ეფუძნება ამავე სახელწოდების ბესტსელერ იაპონურ მანგას და წარმოადგენს ფრანგულ-იაპონურ დრამას, რომელმაც კრიტიკოსებისა და მაყურებლების მაღალი შეფასება მოიპოვა მთელ მსოფლიოში.

სერიალის გმირების მამას, ლეგენდარულ ფრანგ სომელიე ალექსანდრ ლეჟერს, შექმნილი აქვს მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძვირადღირებული ღვინის კოლექცია, რომლის გარშემოც პირველი სეზონის მოვლენები ვითარდება. ახალ სეზონში კი, გმირების ამოცანაა მიაგნონ კოლექციის ყველაზე საუკეთესო და ამავდროულად უსახელო ღვინის ბოთლის წარმოშობის ადგილს. სერიალის გმირი, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოშიც მოგზაურობს

ინფორმაცია მომზადდა ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ

ქართული ღვინო

2025 წელს, „ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინო მსოფლიოს 21 ქვეყანაში წარმოდგენილი იყო 58 გამოფენა-ფესტივალზე და 322 დეგუსტაციაზე.

ქვეყნების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:
▪ აშშ ▪ ესპანეთი ▪ საფრანგეთი ▪ იტალია ▪ გერმანია ▪ ჩინეთი ▪ იაპონია ▪ სლოვენია ▪ დიდი ბრიტანეთი ▪ დანია ▪ სამხრეთ კორეა ▪ ნორვეგია ▪ პოლონეთი ▪ ავსტრია ▪ ბელგია ▪ ნიდერლანდები ▪ ფინეთი ▪ კანადა ▪ ბრაზილია ▪ სომხეთი ▪ უზბეკეთი.



2025 წელს, „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოში 32 ღონისძიება, მათ შორის, 30 გამოფენა-ფესტივალი გაიმართა

უცხოელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიისთვის საქართველოში 18 ღვინის ტური გაიმართა. ჯგუფების შემადგენლობაში ღვინის მაგისტრები, ექსპერტები, სომელიეები, იმპორტიორები, HORECA სექტორისა და მედიის წარმომადგენლები შედიოდნენ, რომელთა მხრიდან მაღალია ინტერესი მოიძიონ ახალი პარტნიორები საქართველოში, რაც მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის კუთხით.

ღვინის ტურები განხორციელდა გერმანიიდან, იაპონიიდან, ჩინეთიდან, პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, შვედეთიდან, ფინეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.
ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას, ღვინის ეროვნული სააგენტო, სტრატეგიულ ბაზრებზე ისეთ მარკეტინგულ კომპანიებთან თანამშრომლობით ახორციელებს, როგორებიცაა:

„Colangelo & Partners“ (აშშ), „People PR“ (პოლონეთი), „ff.k Public Relations“ (გერმანია), „Swirl Wine Group” (დიდი ბრიტანეთი), „Red Bridge” (იაპონია), „Wine21.com” (კორეის რესპუბლიკა) და „Bogvi International Trading Company“ (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).
ღვინის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს: CBS, CNN, „The New York Times”, „Wine Enthusiast“, Netflix, „V is for Vino“ და ა.შ.

მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს, თანადაფინანსების სახით, 9 ღვინის კომპანიამ, ჯამურად, 692.969 ლარი მიიღო. პროგრამის პირობების თანახმად, აღნიშნული კომპანიები მონაწილეობდნენ საერთაშორისო გამოფენა-ფესტივალებში.

ქართული ღვინის წარდგენის სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებაში და აღნიშნული მარკეტინგული აქტიობების შედეგად, ექსპორტის მოცულობა გაზარდეს ამერიკის, ევროპისა და აზიის ბაზრების მიმართულებით. მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებას მხოლოდ ის კომპანიები იღებენ, რომლებიც ექსპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (გარდა დსთ-ს და სუამ-ის ქვეყნებისა), პრიორიტეტულ ბაზრებზე ახორციელებენ.

ზემოთ აღნიშნული აქტივობები განხორციელდა „ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. პროგრამის 2025 წლის ბიუჯეტი17,4 მილიონ ლარს შეადგენდა.

ინფორმაცია მომზადდა ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ

იცოდე, რატომ არის საქართველოს ტყე უნიკალური

საქართველოს ტყეები

განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის 44,5%-ს, 3 096 700 ჰექტარს მოიცავს

ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებასაც, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრას და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

ტყე არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსი, არამედ მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილია. ტყე დაკავშირებულია საკრალურ ტრადიციებთან, ხალხურ თქმულებებსა და მითოლოგიასთან. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, არსებობს ტყეები, რომლებსაც ადამიანები წმინდა ადგილებად მიიჩნევენ.

თანამედროვე საზოგადოებაში ტყეს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ეკოტურიზმისა და რეკრეაციის განვითარებაში. ტურისტული ბილიკები, საკემპინგე ზონები, დასასვენებელი კოტეჯები და სათავგადასავლო მარშრუტები - ტყე საუკეთესო გარემოა ეკოტურიზმისა და დასვენებისთვისაც.

ინფორმაცია მომზადდა ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ



ზამთრის სეზონი ეროვნულ პარკებში

ლაშქრობისთვის განსაკუთრებულ გამოწვევებსა და შთამბეჭდავ გამოცდილებას აერთიანებს. თოვლით დაფარული ბილიკები, მშვიდი გარემო და ბუნებასთან სიახლოვე ვიზიტორებს სრულიად განსხვავებულ ემოციებს სთავაზობს. თუმცა, ზამთრის ლაშქრობა მოითხოვს მეტ სიფრთხილეს, სწორ დაგეგმვასა და შესაბამის აღჭურვილობას.

ამ საკითხებზე, ასევე სალაშქრო მიმართულებებზე, რეინჯერების ყოველდღიურ საქმიანობასა და ვიზიტორებისთვის გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს ტანას აღკვეთილის დირექტორ დემურ ლაცაბიძესა და ალგეთის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების უფროს გიორგი იაკობიძესთან

რამდენად განსხვავებულია დაშქრობის პირობები ზამთრის სეზონზე და რა დამატებით სიფრთხილეს მოითხოვს მოღაშქრისგან?

გიორგი იაკობიძე:

- რა თქმა უნდა, ლაშქრობა ყველა სეზონზე განსხვავებულია და თითოეულს თავისი სპეციფიკა აქვს. განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც თოვლი ნალექის სახით მოდის, გადაადგილება უფრო რთულდება და მეტი სიფრთხილეა საჭირო. ასეთ პერიოდში ვიზიტორები ხშირად ირჩევენ ალგეთის ეროვნულ პარკში კოტეჯის დაქირავებას და მცირე დისტანციების გავლას, რადგან თოვლში ხანგრძლივი ლაშქრობა ფიზიკურად უფრო დამღლელია.

რას მოიცავს ალგეთის ეროვნული პარკი და როგორ შეიძლება იქ მოხვედრა? როგორ ეხმარება ვიზიტორებს მოგზაურობის დაგეგმვაში?

გიორგი იაკობიძე:

- ალგეთის ეროვნული პარკი მოიცავს ტერიტორიას მანგლისიდან კლდეკარის ციხემდე. პარკში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ბუნების ძეგლები, მათ შორის სამშვილდე, წალკის კანიონი და ბირთვისის კლდეების კომპლექსი.

ალგეთის ეროვნული პარკი განსაკუთრებით პოპულარულია ლაშქრობის მოყვარულებში. ზაფხულში ვიზიტორთა რაოდენობა მაღალია, თუმცა ზამთრის სეზონსაც თავისი ხიბლი აქვს და ამ პერიოდში კოტეჯების დაქირავებაზე მოთხოვნა იზრდება.

პარკში, ჯამში, 160 კილომეტრი მარკირებული სალაშქრო ბილიკია, სადაც ორი ტურისტული კოტეჯია განთავსებული - ერთი მანგლისთან ახლოს, მეორე კი, სოფელ ჭინჭრიანთან. ორივე კოტეჯი ტყითა და ულამაზესი ხედებით არის გარშემორტყმული. ვიზიტორებს ადგილზე ხვდებათ ღუმელი, ელემენტარული კომფორტი და მშრალი შეშა, რაც ლაშქრობის შემდეგ დასვენებისა და ძალების აღდგენისთვის აუცილებელია.

რა ფუნქციები და გამოწვევები აქვთ რეინჯერებს სხვადასხვა სეზონზე და როგორ ზრუნავთ ბიღიკების უსაფრთხოებაზე?

დემურ ლაცაბიძე:

რეინჯერების საქმიანობა კომპლექსურია და მხოლოდ ერთ კონკრეტულ მიმართულებას არ მოიცავს. სამუშაო სეზონების მიხედვით იცვლება. ზამთარსა და ადრეულ გაზაფხულზე იწყება ბილიკების შემოვლა, გაწმენდა, მარკირება, ტურისტული თავშესაფრების შემოწმება - აქტიური მზადება ზაფხულის სეზონისთვის. ამასთან ერთად, მიმდინარეობს ცხოველთა გადაადგილების მონიტორინგი და შესაბამისი მონაცემების შეგროვება.

რას ურჩევდით დაშქრობის მსურველებს, რომ მათი მოგზაურობა უსაფრთხო და სასიამოვნო იყოს?

დემურ ლაცაბიძე:

„პირველ რიგში, აუცილებელია შესაბამისი ზამთრის აღჭურვილობა, რათა ვიზიტორებს არ შესცივდეთ და კომფორტულად გადაადგილდნენ. ასევე, მნიშვნელოვანია ვიზიტორთა ცენტრში მისვლა და კონსულტაციის გავლა სპეციალისტთან მარშრუტის დაგეგმვის მიზნით. ჩვენ დეტალურად აღვწერთ მარშრუტებს და ვიცით, სად გადაადგილდება ვიზიტორი, რაც საგანგებო შემთხვევების დროს მათ მოძებნას ამარტივებს.

მნიშვნელოვანია არ გადაუხვიონ ბილიკებიდან. თუ ვიზიტორს ვიზიტორთა ცენტრში მისვლის შესაძლებლობა არ აქვს, სასურველია ტელეფონით მაინც გაიაროს კონსულტაცია. მოგზაურობის დაგეგმვაში ასევე ეხმარება მობილური აპლიკაცია PARKS.GE, რომელიც დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ არის შექმნილი.

რეინჯერებს გაქვთ თუ არა შესაბამისი განათლება და გადამზადება ამ სფეროში?

დემურ ლაცაბიძე:

მე მეტყევე სპეციალისტი ვარ, თუმცა რეინჯერობისთვის მთავარი მოთხოვნა ბუნების სიყვარულია“.

გიორგი იაკობიძე:

კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყოველწლიურად ტარდება ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. რეინჯერები მუდმივად გადამზადდებიან როგორც კანონაღსრულების, ისე უსაფრთხოების სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

ინტერვიუ მომზადდა დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს მიერ.

მინი კივი
ACTINIDIA ARGUTA

ნიშური ხეხილოვანი კულტურა და მისი პოტენციალი საქართველოში

მსოფლიოში ჭანსალი კვეშის, ნიშური პროდუქციისა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეოშის მიმართ მზარდი ინტერესის ფონზე, სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს მინი კივი (ACTINIDIA ARGUTA).

მინი კივი, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე ცნობილია „baby kiwi“ ან „hardy kiwi“-ს სახელით, გამოირჩევა ნაყოფის მდიდარი ბიოქიმიური შემადგენლობით. იგი შეიცავს C ვიტამინის განსაკუთრებით მაღალ რაოდენობას, აგრეთვე ანტიოქსიდანტებს, პოლიფენოლებს, ლუტეინს, კაროტინოიდებსა და ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელ მინერალებს: კალიუმს, კალციუმს, თუთიასა და სხვას. სწორედ ამ თვისებების გამო მინი კივი მიეკუთვნება ე.წ. სუპერხილების ჯგუფს, რომელთა რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას. მინი კივის ნაყოფი გამოირჩევა ორიგინალური საგემოვნო თვისებებით და არომატით და, რაც მთავარია, შეუბუსავი და გლუვი კანით, რაც მეტად მნიშვნელოვანია კომერციული თვალსაზრისით. ისტორიულად, კივის სხვადასხვა სახეობა ფართოდ გამოიყენებოდა აღმოსავლეთ აზიის ხალხურ მედიცინაში. თანამედროვე კვლევები კი ადასტურებს, რომ მინი კივის ექსტრაქტი დადებით გავლენას ახდენს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე და ხელს უწყობს სასარგებლო მიკროფლორის შენარჩუნებას.

გლობალური ტენდენცია და წარმოების გაფართოება

მინი კივის ბუნებრივი გავრცელების არეალი აღმოსავლეთ აზიას უკავშირდება, თუმცა, მე-19 საუკუნიდან კულტურა ეტაპობრივად გავრცელდა სხვა რეგიონებშიც. XXI საუკუნეში, სელექციური და აგრონომიული კვლევების შედეგად, მინი კივიმ კომერციული დატვირთვა მიიღო ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ (ორეგონის შტატი), გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, ახალი ზელანდია და სამხრეთ ამერიკის რიგი ქვეყნები. ამჟამად მსოფლიოში მინი კივის ბაღების საერთო ფართობი დაახლოებით 800–1000 ჰექტარს შეადგენს და ტენდენცია მზარდია.

საქართველოში მინი კივის პერსპექტიული ჯიშები ინტროდუცირებულია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ბაზაზე 2010–2014 წლებში. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის პირობები, მისაღებია ამ კულტურის გასაშენებლად. მინი კივი კარგად ეგუება ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და შეიძლება წარმატებით ჩაერთოს წარმოების დივერსიფიკაციის პროცესში.

მინი კივი (ACTINIDIA ARGUTA)

წარმოადგენს ფოთოლცვენია, ფართოფოთლოვან და ძლიერ მოზარდ ლიანას, რომლის მცოცავი ღეროები ბუნებრივ პირობებში ხშირად ფარავს 30 მეტრამდე სიმაღლის ხეებს ან მიწაზე ვრცელდება. იგი ხშირად ეხვევა მცირე ზომის ხეებსა და ბუჩქებს. კივის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, მისი ღეროები და ნაყოფები შებუსული არ არის. ახალგაზრდა ყლორტები თავდაპირველად ყავისფერი შეფერილობისაა, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად, იღებს ნაცრისფერ ტონს. ოპტიმალური ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში, მცენარემ ერთ სეზონზე შეიძლება განავითაროს 5–7 მეტრის სიგრძის ნაზარდი. პირველივე სავეგეტაციო წელს, სათანადო განათებისა და კვების პირობებში, ნერგი აღწევს 50–80 სმ სიმაღლეს. მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მესამე-მეოთხე წელს.

საქართველოში მინი კივის პერსპექტიული ჯიშები ინტროდუცირებულია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ბაზაზე 2010-2014 წლებში მეხილეობის კვლევის სამსახურის მიერ. მოცემული კულტურა შესაძლებელია საინტერესო იყოს წარმოების დივერსიფიკაციის კუთხით, განსაკუთრებით ნიშური ხილის წარმოებით დაინტერესებული მცირე და საშუალო მეხილე-ფერმერებისთვის.

სამრეწველო ჯიშები საქართველოში

ვეიკი (WEIKI)

ჯიში მიღებულია გერმანიაში, ვეინშტეფანის უნივერსიტეტში ველური ფორმებისა და Actinidia -ს შორის საფეხურებრივი ჰიბრიდიზაციის გზით. მცენარე ძლიერი ზრდისაა და გამოირჩევა მაღალი სტაბილური მოსავლით. ხასიათდება შედარებით საგვიანო ყვავილობით, რაც ამცირებს გაზაფხულის საგვიანო წაყინვების ზემოქმედების რისკს. ნაყოფი საშუალო ზომისაა, 6-8 გრამი, ზოგიერთი 8-12 გრამსაც აღწევს. ნაყოფის შეფერვა მწვანეა, ხოლო ფორმა ოდნავ წაგრძელებულია. ვეიკი ხასიათდება წვნიანობით, სასიამოვნო მომჟავო-მოტკბო გემოთი და თესლების მცირე რაოდენობით. ამჟამად, Weiki ითვლება ერთ-ერთ გავრცელებულ ჯიშად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში; კვლევები ადასტურებს, რომ ეს ჯიში კარგად ეგუება აღმოსავლეთ საქართველოს პირობებსაც.

კენს რედი (KEN'S RED)

- ახალ ზელანდიური ჯიშია, გამოყვანილია სელექციონერ კენ ნობლის მიერ. ეს არის წითელნაყოფიანი ჰიბრიდი, მიღებული A. arguta × A. melanandra-ს შეჯვარების შედეგად. მცენარე საშუალო ზრდისაა, თუმცა სტაბილური მოსავლიანობით გამოირჩევა. ნაყოფი საშუალო ან მსხვილი ზომისაა, დამახასიათებელი ღრმა წითელი ფერის გარე და შიდა რბილობით. გემო ტკბილია მსუბუქი მჟავიანობით და ინტენსიური არომატით. Ken's Red განსაკუთრებულია დეკორატიული ღირებულებითაც და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სასაქონლო ჯიშად.

პერსპექტივა მომავლისთვის

საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო კვლევები და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ მინი კივი რეალური პოტენციალის მქონე კულტურაა. მისი წარმატებული ინტეგრაცია მეხილეობაში დამოკიდებულია ცოდნის გაზიარებაზე, ხარისხიანი სარგავი მასალის ხელმისაწვდომობასა და ბაზარზე სწორ პოზიციონირებაზე.
მინი კივი არა მხოლოდ ახალი ხილია ქართული მომხმარებლისთვის, არამედ შესაძლებლობაა ქვეყნისთვის, რომ განავითაროს ნიშური წარმოება, უპასუხოს გლობალურ ტენდენციებს და გააძლიეროს მდგრადი სოფლის მეურნეობა.

ინფორმაცია მომზადდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნოთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს

ბიომრავალფეროვნება

ბოლოცეცხლა (PHOENICURUS)

ფრინველების გვარი ბეღურასნაირთა რიგისა. მათი სხეულის სიგრძეა 13,5–16 სმ. შეფერილობაში შეხამებულია წითური, შავი, თეთრი და მურა ფერები; სახეობათა უმრავლესობას კუდი წითური აქვს; მამლები უფრო მეტად კაშკაშა ფერის არიან. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. საქართველოში 3 სახეობაა: ჩვეულებრივი, შავი და წითელმუცელა ბოლოცეცხლა; ამათგან პირველი ორი მობუდარი გადამფრენია (ჩვენში მარტიდან ოქტომბრამდეა), წითელმუცელა ბოლოცეცხლა კი - მობინადრე. ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა ბინადრობს ტყეებში, ბაღებში, პარკებში; შავი ბოლოცეცხლა - ხრამებში, კლდეებზე, ალპურ მდელოებსა და ადამიანის სამოსახლოში, წითელმუცელა ბოლოცეცხლა - მაღალმთიანეთში - ხეობებში, კლდეთა ნაშალებში. აპრილ-მაისში დებენ 4-6 კვერცხს. კრუხობა გრძელდება 14 დღე. იკვებებიან მწერებით.

წყრომი (OTUS)

ფრინველთა გვარი ბუსნაირთა რიგისა. მოიცავს ევროპაში, აზიაში (გარდა ჩრდილოეთისა), აფრიკასა და ამერიკაში (გარდა უკიდურესი ჩრდილოეთისა და სამხრეთისა) გავრცელებულ 37 სახეობას, რომელთაგან საქართველოში - 1 ჩვეულებრივი წყრომი (Otus scops) გვხვდება. მისი სხეულის სიგრძე 20 სმ, მასა 80 გრამს აღწევს. მორუხო ფერისაა, შესამჩნევად ჭრელი. ბუდობს ფოთლოვან ტყეებში, პარკებში. მარტში ხის ფუღუროში დებს 2-6 კვერცხს, რომელთა ინკუბაცია 25 დღე-ღამე გრძელდება. კრუხობს მხოლოდ დედალი. ძირითადად იკვებება მწერებით, უფრო იშვიათად - წვრილი ფრინველებითა და მღრღნელებით.

ბუკიოტი, მიკიოტი, ოიდი (AEGOLIUS FUNEREUS)

ფრინველი ბუსნაირთა რიგისა. გავრცელებულია შუა და ჩრდილოეთ ევროპაში. აზიაში - ურალიდან კამჩატკისა და კურილიის კუნძულებამდე, ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში ბინადრობს მთის წიწვოვან და შერეულ ტყეებში. ვერტიკალურად აღწევს ზღვის დონიდან 1200 მ-მდე. აპრილში დებს 4-6 კვერცხს. კრუხობა 1 თვემდე გრძელდება. მორუხო-მოყავისფრო ზურგზე თეთრი ლაქები აქვს. მუცელი ღია ფერისაა და მუქი ზოლები გასდევს; თვალები და ნისკარტი ყვითელია, ფეხის თითები ბრჭყალებამდე შებუმბულია. „სახის დისკო“ სრული და მრგვალია. სასარგებლო ფრინველია. იკვებება მღრღნელებით, იშვიათად წვრილი ბეღურასნაირი ფრინველებით.

თეთრყელა კვერნა, თეთრგული კვერნა, კლდის კვერნა (MARTES FOINA)

მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, შუა და წინა აზიაში, ტიბეტში, რუსეთში. ბინადრობს მრავალგვარ სტაციაში: ტყეში, უტყეო ადგილებში, ბუჩქნარებში, პარკებში, კულტურულ ლანდშაფტში, კლდოვან ქვანაყარ კომპლექსებში, დასახლებულ ადგილებში. აღწევს ზღვის დონიდან 4000 მ-მდე. არის რამდენიმე ქვესახეობა. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ ის მიჩნეულია მცირე საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობად. გამრავლების პერიოდი ეწყება ივლისი-აგვისტოს პერიოდში და ნაშიერებს შობს აპრილი-მაისის პერიოდში.

ინფორმაცია მომზადდა ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მიერ

ნუ შეიფარეგთ გარეულ ცხოველებს!!!

რა შემთხვევაში ითვლება ცხოველის ყოლა დატყვევებად და რა სანქციები მოქმედებს ცხოველის დატყვევებასა და უკანონო ვაჭრობაზე

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქცია-მოვალეობა გარეული ცხოველების დატყვევებისა და უკანონო ვაჭრობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთაა. ბოლო 5 წელში დეპარტამენტმა ამ მიმართულებით 100-მდე სამართალდარღვევა გამოავლინა.

სოციალურ ქსელში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა მოქალაქეები ავრცელებენ ვიდეო კადრებს, სადაც ჩანს, როგორ შეიფარეს გარეული ცხოველი და როგორ უვლიან მას.

ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ გარეული ცხოველის მოვლა-პატრონობა კანონით მის დატყვევებად ითვლება.

სოციალურ ქსელებში ასევე წააწყდებით გარეული ცხოველებით ან მათი ნაშიერებით ვაჭრობის შესახებ განცხადებებსაც, რაც რიგ შემთხვევაში ასევე სამართალდარღვევაა და აღნიშნულ ქმედებებზე საკმაოდ მკაცრი სანქციები მოქმედებს.

რატომ არ უნდა შევიფაროთ გარეული ცხოველი

ხშირია შემთხვევები, როცა მოქალაქეებს ტყიდან შინ მიჰყავთ ნაპოვნი, მიტოვებული, დროებით მიტოვებული ან უკანონო ნადირობის შედეგად მშობლების გარეშე დარჩენილი გარეული ცხოველების ნაშიერები. ზრდიან მათ, ეჩვევიან. ფიქრობენ, რომ ამით კეთილ საქმეს აკეთებენ, არადა ამ დროს, მათ ძალიან დიდ საფრთხეს უქმნიან, რადგან ადამიანებთან შეჩვევის შემდეგ, ცხოველების უკან, ველურ ბუნებაში დაბრუნება რთული პროცესია - ტყვეობაში მყოფ ცხოველს ეკარგება საკვების მოპოვებისა და თვითგადარჩენის ინსტინქტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცხოველები, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ ან სამუდამო ტყვეობისთვის არიან განწირული.

გარეული ცხოველები, ადამიანებთან ერთად ცხოვრების დროს, მუდმივად წარმოადგენენ საფრთხეს, ისინი პოტენციური თავდამსხმელები არიან; მათი ადგილი ველურ ბუნებაშია. ამ ფონზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, არ შეიფარონ გარეული ცხოველები და არ გახდნენ სამართალდამრღვევები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ჯარიმის გადახდაც მოუწევთ და ცხოველის კონფისკაციაც მოხდება. განსაკუთრებით მკაცრია კანონი საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების დატყვევებისა და ვაჭრობის შემთხვევაში. აქ იგულისხმება, მაგალითად, მურა დათვების ბელები, რომელთა ტყიდან გამოყვანის ფაქტებიც, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია.

ნუ შეიფარეგთ გარეული ცხოველეგს!!!

კანონმდეგლოგით დაწესეგული სანქციეგი

უკანონო დატყვევებად ითვლება გარეული ცხოველის ყოლა სათანადო დოკუმენტის ან შესაბამისი თანხმობის გარეშე. სამართალდარღვევაა ასევე უკანონოდ მოპოვებული გარეული ცხოველით, მისი დერივატით (სხეულის ნაწილები) ან მისგან გამომუშავებული პროდუქტით ვაჭრობაც შესაბამისი ნებართვის გარეშე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, გარეული ცხოველის უკანონოდ დატყვევება, უკანონოდ მოპოვებული ცხოველით, მისი დერივატით (სხეულის ნაწილები) ან მისგან გამომუშავებული პროდუქტით ვაჭრობა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტის კონფისკაციით. ასეთი სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უფლებამოსილია ცოცხალი გარეული ცხოველი დაუყოვნებლივ გაუშვას შესაბამის ბუნებრივ გარემოში.

თუ მოქალაქეს დატყვევებული ჰყავს „წითელი ნუსხით" დაცული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველი ან ახდენს მის სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვას, 2000-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს და მას სამართალდარღვევის ობიექტიც ჩამოერთმევა.

„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის ცოცხალი ან არაცოცხალი ინდივიდით უკანონო ვაჭრობაზეც ჯარიმა 1 000 ლარია. ასეთი სახეობის უკანონო ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის შემთხვევაში კი, ჯარიმა 3000 ან 3000-დან 4000 ლარამდეა (სახეობის მიხედვით).

შემთხვევეგი, როცა გარეული ცხოველის ყოლა და მისით ვაჭრობა დაშვეგულია

ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ეგზოტიკური ცხოველის ყოლა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ გარეული ცხოველების შენახვის სათანადო პირობები, თუ ცხოველი საფრთხეს არ უქმნის გარშემო მყოფთ და ქვეყანაში შემოყვანილია კანონიერად, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

გარეულ ცხოველთა სახეობებით ვაჭრობა ხდება „საფრთხის წინაშე მყოფი ფაუნის (გარეული ცხოველების) და ფლორის (ველური მცენარეების) სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (Convention InternationaI Trade in Endangered Species Fauna and FIora- CITES) დებულებებისა და მათ საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

CITES-ით დაცული გარეული ცხოველის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და საჭიროა ნებართვა, რომელსაც გასცემს სამინისტრო მხოლოდ შემდეგი პირობების შესრულებისას: თუ არსებობს შესაბამისი სამეცნიერო ორგანოს დასკვნა, რომლის თანახმად, ამგვარი ექსპორტო საფრთხეს არ უქმნის გარეულ ცხოველთა აღნიშნულ სახეობას; თუ გარეული ცხოველი არ იყო მოპოვებული ან შეძენილი კანონდარღვევით; თუ ნებისმიერი ცოცხალი გარეული ცხოველი მომზადებული და გაგზავნილი იქნება იმგვარად, რომ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი დაზიანების, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი; თუ ცოცხალი გარეული ცხოველის მიმღებს აქვს ცხოველის შენახვისა და მოვლის სათანადო პირობები; თუ გაცემული იყო ნებართვა ამ გარეული ცხოველის იმპორტზე. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის და ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო დარწმუნებულია, რომ გარეული ცხოველი არ იქნება გამოყენებული კომერციული მიზნებისთვის.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, გარეული ცხოველის დატყვევების, ასევე უკანონო ვაჭრობის ფაქტების აღკვეთის, გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, აქტიურად ადევნებს თვალს სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას და თითოეულ მათგანზე მყისიერ რეაგირებას ახდენს. დეპარტამენტი მოუწოდებს მოქალაქეებს იმოქმედონ კანონის ფარგლებში, სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში კი, დარეკონ სამინისტროს ცხელ ხაზზე (153), რათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა მყისიერი და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ.

ინფორმაცია მომზადდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ